

## **პანდემიური გრიპი ორსულებში**

### **პანდემიური გრიპი (H1N1) - 2009 მოკლე შეტყობინება №5**

2009 წელი 31 ივლისი, ჟენევა – აშშ-ში ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლებიც გამოქვეყნდა ჟურნალ Lancet [1]-ში 29 ივლისს, მიუთითებს პანდემიური ვირუსით H1N1 ინფიცირებულ ორსულებში დაავადების მიმდევრობის ან ლეტალური გამოსავლის მომატებულ რისკზე.

რამდენიმე სხვა ქვეყანა, პანდემიური ვირუსის ფართო გავრცელებით, ასევე იტყობინებიან მომატებული რისკის შესახებ ორსულებში, განსაკუთრებით მეორე და მესამე ტრიმესტრში. ასევე არსებობს შეტყობინებები ინფიცირებულ ორსულებში ნაყოფის მუცლადყოფნისას გარდაცვალებისა და თვითნებური აბორტის მომატებული რისკის შესახებ.

### **ორსულებისთვის მომატებული რისკი**

წინა პანდემიების ფაქტიური მონაცემები ასევე ადასტურებს, რომ ორსულები არიან მომატებული რისკის ქვეშ.

მიუხედავად იმისა, რომ სეზონური გრიპის ეპიდემიის დროს ორსულები არიან მომატებული რისკის ქვეშ, ეს რისკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მიმდინარე პანდემიისას, რომელიც სეზონურ ეპიდემიებზე მეტად აზიანებს ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობას.

ჯანმო დაბეჯითებით იძლევა რეკომენდაციას, რომ ორსულები და მათი მკურნალი ექიმები გრიპისმაგვარი დაავადებების სიმპტომის აღმოჩენისთანავე მზად იყვნენ მათი მკურნალობისთვის, განსაკუთრებით H1N1-ის ფართო გავრცელებისას.

### **ჯანმოს რეკომენდაციები მკურნალობასთან დაკავშირებით**

ანტივირუსული პრეპარატით, ოსელტამივირით, მკურნალობა უნდა დაიწყოს რაც შეიძლება ადრე სიმპტომების გამოჩენიდან. რამდენადაც ოსელტამივირის ეფექტურობა განსაკუთრებით მაღალია სიმპტომების გამოვლენიდან პირველ 48 საათში მიღების შემთხვევაში, ექიმებმა მკურნალობა უნდა დაიწყონ დაუყოვნებლივ და არ დაელოდონ ლაბორატორიული ტესტირების შედეგს.

მიუხედავად იმისა, რომ სიმპტომების დაწყებიდან პირველ 48 საათში დაწყებული მკურნალობა იძლევა საუკეთესო შედეგს, მკურნალობის დაწყება უფრო მოგვიანებით ასევე შესაძლოა იყოს შედეგიანი. ოსელტამივირით მკურნალობის დადებით კლინიკურ ეფექტთა რიცხვს მიეკუთვნება პნევმონიის რისკის შემცირება (ინფიცირებულთა შორის ანგარიშგებულ გარდაცვალებათა ყველაზე გავრცელებული მიზეზი) და ჰოსპიტალიზაციის საჭიროების შემცირება.

ჯანმო ასევე იძლევა რეკომენდაციას, რომ პანდემიური ვაქცინის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, ჯანდაცვის სამსახურებმა განიხილონ იმუნიზაციის ჩატარების შესაძლებლობა ორსულებში, როგორც ერთ-ერთ პრიორიტეტულ ჯგუფში.

### **სახიფათო ნიშნები ყველა ავადმყოფისათვის**

მთელ მსოფლიოში, პანდემიური ვირუსით ინფიცირებულ ავადმყოფთა უდიდეს ნაწილში სიმპტომები სუსტადაა გამოხატული და სრული გამოჯანსაღება, ყოველგვარი მედიკამენტოზური მკურნალობის გარშეც, ხდება ერთ კვირაში. დაავადების რამდენიმე აფეთქებისას ვირუსების მონიტორინგი არ იძლევა მტკიცებულებას ვირუსის გავრცელების ან მძიმე დაავადების გამოწვევის უნარის შეცვლის შესახებ.

გარდა დოკუმენტირებული მომატებული რისკისა ორსულებში, მძიმე ფორმით მიმდინარე ლეტალური გამოსავლის მომატებული რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან ადამიანები თანმხლები დაავადებებით, განსაკუთრებით ფილტვების ქრონიკული დაავადებებით (ასთმის ჩათვლით), გულ-სისხლძრღვთა დაავადებებით, დიაბეტით და იმუნოსუპრესიით. რამდენიმე წინასწარი კვლევა მიუთითებს, რომ მძიმე დაავადების ერთ-ერთი ფაქტორი შესაძლოა იყოს სიმსუქნე, განსაკუთრებით სიმსუქნის უკიდურესად გამოხატული ფორმა.

ამ ზოგადად დამაიმედებელი სურათის ფონზე, სხვა მხრივ ჯანმრთელ, განსაკუთრებით 50 წლამდე ასაკის ადამიანთა მცირე რაოდენობაში, შეიმჩნევა დაავადების სწრაფი პროგრესირება მძიმე ფორმამდე, მათ შორის ლეტალური გამოსავალით, რომელიც ხასიათდება მძიმე პნევმონიით, ფილტვის ქსოვილის დაშლით და პოლიორგანული უკმარისობით. დღეისთვის არაა გამოვლენილი ასეთი მძიმე დაავადების განვითარების განმსაზღვრელი რაიმე ფაქტორი, თუმცა კვლევები გრძელდება.

ექიმებმა, პაციენტებმა და იმ ადამიანებმა რომლებიც უზრუნველყოფენ მოვლას სახლის პირობებში უნდა იცოდნენ ის სახიფათო ნიშნები, რომლებიც შესაძლოა მიუთითებდნენ დაავადების მძიმე ფორმის განვითარებაზე. რადგან დაავადების პროგრესირება შეიძლება მოხდეს ძალიან სწრაფად, H1N1-ით დაავადებულებმა, მიუხედავად იმისა შემთხვევა დადასტურებულია თუ შესაძლო, დაუყოვნებლივ უნდა მიმართონ სამედიცინო დახმარებას ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილი ნიშნების განვითარებისას:

- სუნთქვის უკმარისობა ფიზიკური აქტივობის ან მოსვენების დროს;
- გართულებული სუნთქვა;
- ციანოზი (მოლურჯო ელფერი);
- სისხლიანი ან შეფერილი ნახველი;
- ტკივილი გულმკერდში;
- ფსიქიური მდგომარეობის შეცვლა;
- სამ დღეზე მეტი ხნის განმავლობაში მაღალი ტემპერატურა;
- დაბალი არტერიული წნევა.

ბავშვებში სახიფათო ნიშნებს მიეკუთვნება გახშირებული ან გართულებული სუნთქვა, აქტივობის შემცირება, გამოფხიზლების გაძნელება, ასევე თამაშის სურვილის დაქვეითება ან არ ქონა.